

ფინანსური კონსულტანტი

ორგანიზაცია : სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

სტრუქტურული ერთეული: მრჩეველთა საბჭო

პოზიცია: ფინანსური კონსულტანტი

ანაზღაურება: 800 ლარი

დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება : მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება - უმაღლესი განათლება ფინანსებში ან მომიჯნავე დისციპლინებში.

კვალიფიკაცია- კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების და პროფესიული სტანდარტების ცოდნა:

1. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“
2. მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტი და შესაბამისი გადაწყვეტილებები
3. სამეურვეო საბჭოს რეგლამენტი და შესაბამისი გადაწყვეტილებები
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“
6. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
8. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“
9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები:
 - N99_საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე;
 - N220_დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ;
 - N385_პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე;
 - N449_საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე;
 - N17_საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
 - N108_„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

გამოცდილება- შესაბამისი პროფილით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის გამოცდილება.

უნარები:

ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი

გუნდური მუშაობის უნარი

სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარი

ანალიტიკური უნარები

დატვირთვის ქვეშ მუშაობის უნარი

სამუშაო დისციპლინის დაცვის უნარი

ფუნქცია - მოვალეობები:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის ანალიზი;

მრჩეველთა საბჭოს ფინანსური დოკუმენტების მომზადება;

კომუნიკაცია, ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვა ორგანიზაციებთან ფინანსურ და საბიუჯეტო საკითხებზე;

ფინანსური დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ აქტებთან;

მრჩეველთა საბჭოს ბიუჯეტის მონიტორინგი და შესრულების კონტროლი;

მაუწყებლის ბიუჯეტის პროექტის ანალიზი და შესაბამისობის შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან;

ფინანსების და ბიუჯეტირების საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და რეკომენდაციების გაცემა

აუდიტორული დასკვნების ანალიზი და შეფასება;

მრჩეველთა საბჭოს ბიუჯეტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება;

მრჩეველთა საბჭოს ანგარიშების ფინანსური ნაწილის მომზადება.

დამატებითი უნარ-ჩვევები:

საოფისე კომპიუტერული პორგრამები (MS Word; Excel; Power Point;)

ენების ცოდნა

ინგლისურის ცოდნა ჩაითვლება დამატებით უპირატესობად, თუმცა სავალდებულო არ არის.

კანდიდატთან შორიმიტი სამართლებრივი ურთიერთობა მოწესრიგდება:

შრომითი ხელშეკრულებით;

მრჩეველთა საბჭოს აპარატის დებულებით;

მაუწყებლის შიდა მარეგულირებელი აქტებით.

კანდიდატი ვალდებულია საკონკურსო კომისიას მიაწოდოს სრული ინფორმაცია მისი წარსული და მიმდინარე საქმიანობის, ასევე სხვადასხვა გაერთიანებებში, კავშირებში და ასოციაციებში წევრობის შესახებ.

საბოლოო ეტაპზე გადასულ კანდიდატს საკონკურსო კომისიის მიერ მიეცემა რეკომენდაცია შრომითი ურთიერთობის დადებაზე, თუმცა რეკომენდაციის გათვალისწინება წარმოადგენს დამსაქმებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

წარმოსადგენი დოკუმენტები:

1. CV;
2. სამოტივაციო წერილი;
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. დამატებითი დოკუმენტები, კანდიდატის სურვილის შემთხვევაში.

საბუთების მიღება 2022 წლის 20 აპრილიდან, 2022 წლის 29 აპრილის ჩათლით შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე ajartvboard@gmail.com

საკონტაქტო პირი: მრჩეველთა საბჭოს აპარატის საქმისწარმოების მენეჯერი, ნათია ხუნდაძე
ტელ: 577 23-26-07

კონკურსის შემდეგი ეტაპის თარიღები, ეცნობებათ კანდიდატებს დამატებით.